F 133
1937

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის
მუშათა და გლეხთა მთავრობის

# კანონთა და განკარგულებათა კრებული

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველობის გამოცემა

1937 წ. მარტის 31. № 4 ტფილისი.

## შ ი ნ ა ა რ ს ი

საადმინისტრაციო დაყოფა.

26. საქართველოს სსრ-ში ახალი სასოფლო საბჭოების დაარსების შესახებ.

მ რ ე წ ვ ე ლ ო ბ ა.

27. ტფილისის „ცენტრსასხმელი“ ქარხნის სსრ კავშირის მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის გამგებლობაში გადაცემის შესახებ.

28. საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სისტემაში დამოუკიდებელ სამეურნეო-ანგარიშიანი საავტოტრანსპორტო მეურნეობის მოწყობის შესახებ.

ვაჭრობა. მომარაგება.

29. 1937 წ. მარცვლეულის ჩაბარებისაგან მოსაზღვრე და მთის რაიონების სასოფლო საბჭოების და სოფლების განთავისუფლების შესახებ.

ფ ი ნ ა ნ ს ე ბ ი.

30. სახელმწიფო და ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფი დაწესებულებების სპეციალურ სახსართა ნუსხის დამატების შესახებ.

შ რ ო მ ა.

31. მომუშავეთა რაოდენობისა და სამუშაო ხელფასის ფონდების ერთდროული აღრიცხვის შესახებ.

გ ა ნ ა თ ლ ე ბ ა.

32. საშუალო სკოლებში სსრ კავშირის კონსტიტუციის და საქართველოს სსრ-ის კონსტიტუციის სწავლების შემოღების შესახებ.

სასამართლო წყობილება და სამართლის წარმოება.

33. საქართველოს სსრ კვების, ტყისა და მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატთან არბიტრაჟის დაარსების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საადმინისტრაციო დაყოფა

## 26. დადგენილება ც.ა.კ.

### საქართველოს სსრ-ში ახალი სასოფლო საბჭოების დაარსების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი ადგენს:

დაარსებულ იქნას საქართველოს სსრ-ში შემდეგი ახალი სასოფლო საბჭოები:

ქიათურის რაიონში.

1. გამოეყოს ჩხირაულის სასოფლო საბჭოს სოფელი მანდაეთი, ხოლო ბერეთისის სასოფლო საბჭოს—სოფლები მეჩხეთური და ქბილარი და დაარსდეს ახალი სასოფლო საბჭო ცენტრით სოფელ მანდაეთში.

2. გამოეყოს ჩხირაულის სასოფლო საბჭოს სოფლები:—ქვემო გეზრული, ზემო გეზრული და შუა გეზრული და დაარსდეს ახალი სასოფლო საბჭო ცენტრით სოფელ შუა გეზრულში—გეზრულის სასოფლო საბჭოს სახელწოდებით.

3. გამოეყოს არგვეთის სასოფლო საბჭოს სოფლები:—გაღმა არგვეთი, გორისა და შალაური და დაარსდეს ახალი სასოფლო საბჭო ცენტრით სოფელ გორისაში—გორისის სასოფლო საბჭოს სახელწოდებით.

4. გამოეყოს ქორეთის სასოფლო საბჭოს სოფლები:—ჭორვილა, მერჯევი, საირხე და წითელი სოფელი და დაარსდეს ახალი სასოფლო საბჭო ცენტრით სოფელ საირხეში—საირხის სასოფლო საბჭოს სახელწოდებით.

5. გამოეყოს კაცხის სასოფლო საბჭოს სოფლები:—ჯოყოეთი და ჯვარი-ეწერი და დაარსდეს ახალი სასოფლო საბჭო ცენტრით სოფელ ჯვარი-ეწერში;

სოფელ ჯვარი-ეწერს ეწოდოს სოფელი ეწერი, ხოლო სასოფლო საბჭოს—ეწრის სასოფლო საბჭო.

6. გამოეყოს ქვაციხის სასოფლო საბჭოს სოფელი რცხილათი და დაარსდეს ამ სოფელში ახალი საბჭო ცენტრით საშუალო ადგილას—რცხილათის სასოფლო საბჭოს სახელწოდებით.

7. გამოეყოს წირქვალის სასოფლო საბჭოს სოფლები:—ხალიფაური, წირქვალი, მღვიმევი და ქვედა ჭალოვანი და დაარსდეს ახალი სასოფლო საბჭო ცენტრით სოფელ ხალიფაურში;

ა) ახლად დაარსებულ სასოფლო საბჭოს ეწოდოს წირქვალის სასოფლო საბჭო;

ბ) ძველ სასოფლო საბჭოს—ცენტრით სოფელ ზოდში ეწოდოს ზოდის სასოფლო საბჭო.

8. გამოეყოს კორბოულის სასოფლო საბჭოს სოფლები:—გოგოლაძეები, კაპანაძეები და სისვაძეები, ხოლო არგვეთის სასოფლო საბჭოს სოფელი ბახიოთი და დაარსდეს ახალი სასოფლო საბჭო ცენტრით საშუალო ადგილას;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა) ახლად დაარსებულ სასოფლო საბჭოს ეწოდოს კორბოულის სასოფლო საბჭო;

ბ) ძველ სასოფლო საბჭოს ცენტრით სოფელ შომახეთში ეწოდოს შომახეთის სასოფლო საბჭო.

9. გამოეყოს საჩხერის სასოფლო საბჭოს სოფლები:—ჩიხა და ორღული და დაარსდეს ახალი სასოფლო საბჭო ცენტრით საშუალო ადგილას—ჩიხის სასოფლო საბჭოს სახელწოდებით.

10. გამოეყოს საჩხერის სასოფლო საბჭოს სოფლები:—ბაჯითი და სარეკი და დაარსდეს ახალი სასოფლო საბჭო ცენტრით სოფელ სარეკში—სარეკის სასოფლო საბჭოს სახელწოდებით.

## გორის რაიონში.

11. გამოეყოს ხიდისთავის სასოფლო საბჭოს სოფლები: ბნავისი, წედისი, ლვარები და ოლოზი, სკრის სასოფლო საბჭოს—სოფელი ზედა ქსოვრისი და ატენის სასოფლო საბჭოს—სოფელი გორა და დაარსდეს ახალი სასოფლო საბჭო ცენტრით სოფელ ბნავისში—ბნავისის სასოფლო საბჭოს სახელწოდებით.

12. გამოეყოს ატენის სასოფლო საბჭოს სოფლები: ზემო ურიული, ქვემო ურიული, ველები, ღვედრეთი, დრე და ხანდისი, ხოლო ბობნევის სასოფლო საბჭოს სოფლები:—სიქალეთი, დიდი წერეთი და იკნევი და დაარსდეს ახალი სასოფლო საბჭო ცენტრით სოფელ დრეში—დრეს სასოფლო საბჭოს სახელწოდებით.

13. გამოეყოს ზემო ახალსოფლის სასოფლო საბჭოს სოფლები: მღებრიანი, ოქიანი, დიდი ქვარები, ტამი და საჯია, ხოლო ბობნევის სასოფლო საბჭოს სოფლები ზემო ბალოვანი და პატარა წერეთი და დაარსდეს ახალი სასოფლო საბჭო ცენტრით სოფელ მღებრიანში—მღებრიანის სასოფლო საბჭოს სახელწოდებით.

14. გამოეყოს გორის სასოფლო საბჭოს სოფელი ბერბუკი, ხელთუბნის სასოფლო საბჭოს სოფელი სვენეთი და კარალეთის სასოფლო საბჭოს სოფლები:—ზემო რეხა და ქვემო რეხა და დაარსდეს ახალი სასოფლო საბჭო ცენტრით სოფელ ბერბუკში—ბერბუკის სასოფლო საბჭოს სახელწოდებით.

15. გამოეყოს მეჯვრისხევის სასოფლო საბჭოს სოფელი ზერტი, ქვემო ახალი სოფლის სასოფლო საბჭოს—სოფელი კვარხითი და ბერშუეთის სასოფლო საბჭოს—სოფელი კირბალი და დაარსდეს ახალი საბჭო ცენტრით სოფელ ზერტში—ზერტის სასოფლო საბჭოს სახელწოდებით.

**შენიშვნა.** წინადადება მიეცეს გორის რაიაღმასკომს შეისწავლოს საკითხი სოფ. ზეგარდისა და ნადარბაზევის—ხურვალეთის სასოფლო საბჭოდან გამოყოფისა და შავშვების სასოფლო საბჭოსთან შეერთების შესახებ, შავშვების სასოფლო საბჭოს ცენტრის სოფელ ნაწრეტში გადატანით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ზუგდიდის რაიონში.

16. გამოეყოს დარჩელის სასოფლო საბჭოს სოფელი ჭითაწყარი და დაარსდეს ამ სოფელში ახალი სასოფლო საბჭო ცენტრით საშუალო ადგილას—ჭითაწყარის სასოფლო საბჭოს სახელწოდებით.

17. გამოეყოს კოკის სასოფლო საბჭოს სოფელი ახალი კახათი და დაარსდეს ამ სოფელში ახალი სასოფლო საბჭო ცენტრით „ნაჭვში"—ახალი კახათის სასოფლო საბჭოს სახელწოდებით.

18. გამოეყოს ურთის სასოფლო საბჭოს სოფელი ხეცერა და დაარსდეს ამ სოფელში ახალი სასოფლო საბჭო ცენტრით საშუალო ადგილას—ხეცერის სასოფლო საბჭოს სახელწოდებით.

19. გამოეყოს გრიგოლიშის სასოფლო საბჭოს სოფლები ზემო გრიგოლიში, საესებუო და ალავერდის კარი და დაარსდეს ახალი სასოფლო საბჭო ცენტრით სოფელ ალავერდის კარში;

ა) ახლად დაარსებულ სასოფლო საბჭოს ეწოდოს გრიგოლიშის სასოფლო საბჭო;

ბ) ძველ სასოფლო საბჭოს ცენტრით სოფელ ყულის კარში ეწოდოს ამხ. ს. ორჯონიკიძის სახელობის სასოფლო საბჭო.

20. გამოეყოს ორულ-ერგეტის სასოფლო საბჭოს სოფელი ერგეტა და დაარსდეს ამ სოფელში ახალი საბჭო ცენტრით საშუალო ადგილას;

ა) ახლად გამოყოფილ სასოფლო საბჭოს ეწოდოს ერგეტის სასოფლო საბჭო;

ბ) ძველ სასოფლო საბჭოს ცენტრით სოფელ ორულეში ეწოდოს ორულეს სასოფლო საბჭო.

## კასპის რაიონში.

21. გამოეყოს კავთისხევის სასოფლო საბჭოს სოფელი ქვემო ხანდაკი და რკინის გზის სადგური კავთისხევი, ხოლო კასპის სასოფლო საბჭოს სოფელი მირიანეული და დაარსდეს ახალი სასოფლო საბჭო ცენტრით სოფელ ქვემო ხანდაკში—ქვემო ხანდაკის სასოფლო საბჭოს—სახელწოდებით.

22. გამოეყოს კოდის წყაროს სასოფლო საბჭოს სოფლები:—ნიგოზა, ქვემო რენე, ზემო რენე და ჩობალაური და დაარსდეს ახალი სასოფლო საბჭო ცენტრით სოფელ ნიგოზაში—ნიგოზის სასოფლო საბჭოს სახელწოდებით.

23. გამოეყოს ქვემო-ჭალის სასოფლო საბჭოს სოფლები: იგოეთი, სამთავისი, რგვალი ჭალა, ბოჟამი, თაგოეთი და გამდლის წყარო და დაარსდეს ახალი სასოფლო საბჭო ცენტრით სოფელ იგოეთში—იგოეთის სასოფლო საბჭოს სახელწოდებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ვანის რაიონში.

24. გამოეყოს ყუმურის სასოფლო საბჭოს სოფლები: —ზედა დუცხუნი, ქვედა დუცხუნი და პაატესუ ული და დაარსდეს ახალი სასოფლო საბჭო ცენტრით სოფელ ქვედა დუცხუნში, —დუცხუნის სასოფლო საბჭოს სახელწოდებით.

25, გამოეყოს ყუმურის სასოფლო საბჭოს სოფლები: —მაისოური და ვერცხვნარი და დაარსდეს ახალი სასოფლო საბჭო ცენტრით სოფელ მაისოურში— მაისოურის სასოფლო საბჭოს სახელწოდებით.

26. გამოეყოს შუმათის სასოფლო საბჭოს სოფლები: მთისძირყვიში, მთისძირ-ჭყუმური და ჭაგან-ჭყვიში და დაარსდეს ახალი სასოფლო საბჭო ცენტრით მთისძირ-ჭყვიში—ჭყვიშის სასოფლო საბჭოს სახელწოდებით.

## თელავის რაიონში.

27. გამოეყოს ნაფარეულის სასოფლო საბჭოს სოფლები: სანიორე, ართანა და ჯულაანი და დაარსდეს ახალი საბჭო ცენტრით სოფელ სანიორეში— სანიორეს სასოფლო საბჭოს სახელწოდებით.

28. გამოეყოს კონდოლის სასოფლო საბჭოს სოფლები: —კისისხევი და ნასომხარი და დაარსდეს ახალი საბჭო ცენტრით სოფელ კისისხევში, —კისისხევის სასოფლო საბჭოს სახელწოდებით.

29. გამოეყოს წინანდლის სასოფლო საბჭოს სოფელი ქვემო ხოდაშენი, ხოლო აკურის სასოფლო საბჭოს სოფელი ბუშატი და დაარსდეს ცალკე სასოფლო საბჭო ცენტრით სოფელ ქვემო ხოდაშენში—ქვემო ხოდაშნის სასოფლო საბჭოს სახელწოდებით.

## ორჯონიკიძის რაიონში.

30. გამოეყოს ბორითის სასოფლო საბჭოს სოფლები: —უბისა და მაქათუბანი და დაარსდეს ახალი საბჭო ცენტრით სოფელ მაქათუბანში—მაქათუბნის სასოფლო საბჭოს სახელწოდებით.

31. გამოეყოს ხორაგოულის სასოფლო საბჭოს სოფლები: ბაზალეთი, ლარიხევი, ქროლი, ნიფი და ჯაფარეული და დაარსდეს ახალი სასოფლო საბჭო ცენტრით სოფელ ბაზალეთში—ბაზალეთის სასოფლო საბჭოს სახელწოდებით.

32. გამოეყოს მოლითის სასოფლო საბჭოს სოფლები: ქვები, ბაბი და დეისი და დაარსდეს ახალი სასოფლო საბჭო ცენტრით სოფელ ბაბში—ბაბის სასოფლო საბჭოს სახელწოდებით.

## გეგეჭკორის რაიონში.

33. გამოეყოს აბედათის სასოფლო საბჭოს სოფელი ჯოლევი და დაარსდეს ამ სოფელში ახალი საბჭო ცენტრით საშუალო ადგილას—ჯოლევის სასოფლო სსბჭოს სახელწოდებით.

34. გამოეყოს კიწიის სასოფლო საბჭოს სოფლები: დოშაყე და [illegible] და დაარსდეს ახალი სასოფლო საბჭო ცენტრით სოფელ დოშაყეში—დოშაყეს სასოფლო საბჭოს სახელწოდებით.

ა ღ ბ უ ლ ა ხ ი ს რ ა ი ო ნ შ ი.

35. გამოეყოს დუმანისის სასოფლო საბჭოს სოფლები: ზემო ახკალაფა, ფიტარეთი, წყნარი აბანო და ნავთიანი და დაარსდეს ახალი სასოფლო საბჭო ცენტრით სოფელი ზემო ახკალაფაში—ახკალაფის სასოფლო საბჭოს სახელწოდებით.

ყ ა ზ ბ ე გ ი ს რ ა ი ო ნ შ ი.

36. გამოეყოს არშის სასოფლო საბჭოს სოფლები: ხურთისი, ტყარშეთი, გორისციხე, ვარდისუბანი, ფხელშე და ყანობი და დაარსდეს ახალი სასოფლო საბჭო ცენტრით სოფელ გორისციხეში—გორისციხის სასოფლო საბჭოს სახელწოდებით.

ქ ვ ე მ ო - ს ვ ა ნ ე თ ი ს რ ა ი ო ნ შ ი.

37. გამოეყოს აშარეს სასოფლო საბჭოს სოფლები:—წანარი, ხოფური, მაზაში და წიფლაკაკია და დაარსდეს ახალი სასოფლო საბჭო ცენტრით სოფელ ხოფურში—ხოფურის სასოფლო საბჭოს სახელწოდებით;

ძველ სასოფლო საბჭოს ცენტრით სოფელ რცხმელურში ეწოდოს რცხმელურის სასოფლო საბჭო.

ქ უ თ ა ი ს ი ს რ ა ი ო ნ შ ი.

38. გამოიყოს ქვიტირისა და გუმბრის სასოფლო საბჭოებიდან ქ. ქუთაისის ტერიტორიაზე მყოფი 600 კომლი და დაარსდეს გარეუბნის სასოფლო საბჭო ცენტრით ქ. ქუთაისში.

ტ ყ ი ბ უ ლ ი ს რ ა ი ო ნ შ ი.

39. გამოეყოს საწირის სასოფლო საბჭოს სოფელი ძიროვანი და დაარსდეს ამ სოფელში ახალი საბჭო ცანტრით საშუალო ადგილას—ძიროვანის სასოფლო საბჭოს სახელწოდებით.

ბ ა შ ქ ი ჩ ე თ ი ს რ ა ი ო ნ შ ი.

40. გამოეყოს ბაშქიჩეთის სასოფლო საბჭოს სოფელი ვალჰდეიმი და დაარსდეს ამ სოფელში ახალი საბჭო ცენტრით საშუალო ადგილას—ვალდჰეიმის სასოფლო საბჭოს სახელწოდებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

### ხაშურის რაიონში.

41. გამოეყოს დირზის სასოფლო საბჭოს სოფლები: დვანი და ტახტისძირი და დაარსდეს ახალი სასოფლო საბჭო ცენტრით სოფელ ტახტისძირში—ტახტისძირის სასოფლო საბჭოს სახელწოდებით.

### აჭარის ასსრ-ში.

### ბათომის რაიონში.

42. გამოეყოს კაპანდიბის სასოფლო საბჭოს სოფლები: ერგე, ქვემო ჯოჭო და ზემო ჯოჭო და დაარსდეს ახალი სასოფლო საბჭო ცენტრით სოფელ ერგეში—ერგეს სასოფლო საბჭოს სახელწოდებით.

43. გამოეყოს გონიას სასოფლო საბჭოს სოფელი სარღი და დაარსდეს ამ სოფელში ახალი სოსოფლო საბჭო —სარღის სასოფლო საბჭოს სახელწოდებით.

### ხულოს რაიონში.

44. გამოეყოს სიხაძირის სასოფლო საბჭოს სოფლები: მუმსეი, ბაკო, ზემო თხილვანი და ქვემო თხილვანი და დაარსდეს ახალი სასოფლო საბჭო ცენტრით სოფელ ზემო თხილვანში—თხილვანის სასოფლო საბჭოს სახელწოდებით.

45. გამოეყოს ჭვანის სასოფლო საბჭოს სოფლები: ზემოხევი, ცენტერახე, ზედა ჭალა, გამარდული, ბარათაული და ვანი და დაარსდეს ახალი სასოფლო საბჭო ცენტრით სოფელ ბარათაულში—ბარათაულის სასოფლო საბჭოს სახელწოდებით.

46. გამოეყოს ხულოს სასოფლო საბჭოს სოფლები: შურმული, ზედა ალმე, ქვედა ალმე და ჩავო და დაარსდეს ახალი სასოფლო საბჭო ცენტრით სოფელ ქვედა ალმეში—ალმეს სასოფლო საბჭოს სახელწოდებით.

47. გამოეყოს რიყეთის სსსოფლო საბჭოს სოფლები: მგელაძე, იაკობაძე, ღურია, ღორჯომელაძე, პაქსაძე, კორტოხი, ბეღლევი, მანიაკეთი, დიოკნისი, ტაბახმელა, ჯვარიქეთი და დაარსდეს ახალი სასოფლო საბჭო ცენტრით სოფელ დიოკნისში—დიოკნოსის სასოფლო საბჭოს სახელწოდებით.

### ქობულეთის რაიონში.

48. გამოეყოს ხუცუბნის სასოფლო საბჭოს სოფლები: ზედა კვირიკე, ქვედა კვირიკე და ხარაზნები, ხოლო დაგვის სასოფლო საბჭოდან სოფელი კვირიკე-ბერძნების და დაარსდეს ახალი სასოფლო საბჭო ცენტრით სოფელ ზედა კვირიკეში—კვირიკეს სასოფლო საბჭოს სახელწოდებით.

49. გამოეყოს ჩაქვის სასოფლო საბჭოს სოფლები: ციხისძირი, შუაღელე და სტალინის უბანი და დაარსდეს ახალი სასოფლო საბჭო ცენტრით სოფელ ციხისძირში—ციხისძირის სასოფლო საბჭოს სახელწოდებით;

დაევალოს სსრ ცაკის საორგანიზაციო განყოფილებას შეისწავლოს საკითხი ოჩხამურისა და ჩაქვის საბჭოთა მეურნეობების მუშათა დასახლებულ ადგილებად ცნობისა და მათში სადაბო საბჭოების დაარსების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სამხრეთ-ოსეთის ა. ო.

### ლენინგორის რაიონში.

50. გამოეყოს ლენინგორის სასოფლო საბჭოს სოფლები: ბექანთყაუ, ახმაჯი, გორგაშენი, ზემო-ციხის სოფელი, ქვემო-ციხის სოფელი, ახალდაბა, ლანუბანი და ვაშლოვანი და დაარსდეს ახალი სასოფლო საბჭო ცენტრით სოფელ ბექანთ-ყაუში—ბექანთ-ყაუს სასოფლო საბჭოს სახელწოდებით.

51. გამოეყოს ლენინგორის სასოფლო საბჭოს სოფლები: სარბიელი, ჯვარისუბანი, ბეკაში, ჭორჭოხი, ნალომევი, ლომის-ხევი, ხოფა, ძეგლევი, ხუბათ-ყაუ და კორი და დაარსდეს ახალი სასოფლო საბჭო ცენტრით სოფელ სარბიელში—სარბიელის სასოფლო საბჭოს სახელწოდებით.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **თ. ჟღენტი.**

1637 წ. თებერვლის 1. № 148.
ტფილისი.

---

# მრეწველობა

## 27. დადგენილება ს.კ.ს.

**ტფილისის „ცენტრსასხმელი“ ქარხნის სსრ კავშირის მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის გამგებლობაში გადაცემის შესახებ.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს ხებართვის შესაბამისად, რაც აღნიშნულია 1936 წ. დეკემბრის 14-ის თარიღის და 162 №-ის წერილში, ტფილისის ქარხანა „ცენტრსასხმელი“ ჩამოერთვას საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატს და გადაეცეს სსრ კავშირის მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის გამგებლობაში.

2. აღნიშნული წამოწყება გადაეცეს უსასყიდლოდ აქტივით და პასივით 1937 წ. იანვრის 1-ის ბალანსისამებრ.

3. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატს—დასდვას გადასაცემ წამოწყებასთან სათანადო გენერალური ხელშეკრულება 1937 წლისათვის იმ ვალდებულების შესაბამისად, რომელიც მიიღო სსრ კავშირის მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის

„გლავსტანკოინსტრუმენტმა" თუჯის და ფოლადის ჩამონასხმებით ადგილობრივი მრეწველობის უზრუნველსაყოფად.

საქ. სსრ ს. კ.ს-ის თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ის საქმეთა მმართველი **ვ. კვირიკაძე.**

1937 წ. იანვრის 10. № 54.
ტფილისი

---

## 28. დადგენილება ს.კ.ს.

**საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის სისტემაში დამოუკიდებელი სამეურნეო-ანგარიშიანი საავტოტრანსპორტო მეურნეობის მოწყობის შესახებ.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ნება დაერთოს საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატს—მოაწყოს მისი სისტემის წამოწყებებში (სატყეო სამრეწველო მეურნეობანი, სატყეო მეურნეობანი, სატყეო კომბინატები) არსებული საავტომობილო და სატრაქტორო პარკის ბაზაზე დამოუკიდებელი სამეურნეო-ანგარიშიანი ავტომეურნეობა იურიდიული პირის უფლებებით—საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატთან არსებული ავტომექანიკური ტრანსპორტის კონტორა.

2. დაეკისროს აღნიშნულ კონტორას შემდეგი ძირითადი ფუნქციები:

ა) გადაზიდვები სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის წამოწყებებთან დადებული ხელშეკრულების მიხედვით დამტკიცებული სატრანსპორტო-სამრეწველო ტექნიკურ-ფინანსიური გეგმების თანახმად;

ბ) სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის სისტემის საავტომობილო და სატრანსპორტო პარკის მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება;

გ) ხე-ტყის საზიდი ავტომექანიზებული გზების ექსპლოატაცია და ამ გზების მოვლა-პატრონობა;

დ) შრომატევადი დატვირთვა-გადმოტვირთვის პროცესების მექანიზაცია სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის სისტემაში;

ე) გარაჟებისა და საავტოტრანსპორტო სახელოსნოების კაპიტალური მშენებლობა სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის საავტო-სატრაქტორო პარკისათვის.

3. მიენდოს საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატს:

ა) დაამტკიცოს ზემოაღნიშნული კონტორის წესდება;

ბ) საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით განსაზღვროს ამ კონტორის საწესდებო კაპიტალი და გამოყოს მისთვის თავის ქვემდებარე წამოწყებათა ხარჯზე საჭირო საბრუნავი სახსარი.

საქ. სსრ ს. კ. ს-ის თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ის საქმეთა მმართველი **ვ. კვირიკაძე.**

1937 წ. იანვრის 27. № 25.
**ტფილისი.**

---

# ვაჭრობა. მომარაგება

## 29. დადგენილება ს.კ.ს.

**1937 წ. მარცვლეულის ჩაბარებისაგან მოსაზღვრე და მთის რაიონების სასოფლო საბჭოების და სოფლების განთავისუფლების შესახებ.**

თანახმად სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებათა კომიტეტის 1936 წლის მარტის 4-ის № 651 დადგენილებისა, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. განთავისუფლებულ იქნას მთლიანად 1937 წელში მარცვლეულის სავალდებულო ჩაბარებისაგან კოლმეურნეობანი და ერთპიროვნული მეურნეობანი დასავლეთი საქართველოს 26 რაიონში, აფხაზეთის ასსრ-ში, აჭარის ასსრ-ში, და აღმოსავლეთ საქართველოს 10 მთიან და მოსაზღვრე რაიონში (ადიგენის, ასპინძის, ბაშქიჩეთის, ბოგდანოვკის, ბორჯომის, დუშეთის, თიანეთის, ყაზბეგის, ყარაისა და წალკის).

2. განთავისუფლებულ იქნან ნაწილობრივ 1937 წ. მარცვლეულის სავალდებულო ჩაბარებისაგან მოსაზღვრე და მთიანი ადგილების სასოფლო საბჭოების და სოფლების კოლმეურნეობანი და ერთპიროვნული მეურნეობანი თანახმად ცხრილისა.

3. წინადადება მიეცეს სამხრეთ-ოსეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს—ამ დადგენილების მე-2 მუხლის შესაბამისად გაანთავისუფლოს მთიან ადგილებისათვის მიკუთვნებული ცალკე სოფლები და სასოფლო საბჭოები იმ ფარგლებში, რა ფარგლებშიაც განთავისუფლებულია ჩაბარებისაგან თესვის ფართობი.

4. დაევალოს სამხრეთ-ოსეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს და სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეებს, რომ მათ, 1937 წლის საგაზაფხულო თესვის გეგმის სასოფლო საბჭოებზე და სოფლებზე განაწილების შემდეგ დაუყოვნებლივ აცნობონ საქართველოს სსრ სახალხო კო-

საქართველოს ... ბიბლიოთეკა

მისართა საბჭოსთან არსებულ დამზადებათა კომიტეტის რწმუნებულს სა[illegible]-ხულო თესვის დაზუსტებული ფართობები განთავისუფლებულ სასოფლო საბჭოებში და სოფლებში.

ბ. დაუდასტურდეს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს, რომ ამ დადგენილების მე-2 მუხლით გათვალისწინებული განთავისუფლება უნდა გავრცელდეს განთავისუფლებული სასოფლო საბჭოს კოლმეურნეობებისა და მშრომელ ერთპიროვნულ მეურნეობების მთელ სათეს ფართობზე.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ვ. კვირიკაძე.**

1937 წ. თებერვლის 4. № 119.

ტფილისი.

---

# ფინანსები

## 30. დადგენილება ს.კ.ს.

**სახელმწიფო და ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფი დაწესებულებების სპეციალურ სახსართა ნუსხის დამატების შესახებ.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

სახელმწიფო და ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფი დაწესებულებების სპეციალურ სახსართა ნუსხას (სახელმწიფო და ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფი დაწესებულებების სპეციალურ სახსართა დებულების დანართი—საქ. სსრ კან. კრ. 1936 წ. 30 №-ი, მუხ. 176) დაემატოს მე-15 პუნქტი შემდეგი შინაარსისა:

| № რიგზე | სახსართა წყაროები | სახსართა დანიშნულება |
|---|---|---|
| 15 | „ხილის და ყურძნის დამზადებათა ღირებულების 3%-იანი ანარიცხი". | მეხილეობისა და მევენახეობის დარგში საჭირო აგროლონისძიებათათვის. |

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ვ. კვირიკაძე.**

1937 წ. თებერვლის 4. № 133.

ტფილისი.

---

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შრომა

## 31. დადგენილება ს.კ.ს.

### მომუშავეთა რაოდენობისა და სამუშაო ხელფასის ფონდების ერთდროული აღრიცხვის შესახებ.

„მომუშავეთა რაოდენობისა და სამუშაო ხელფასის ფონდების ერთდროული აღრიცხვის შესახებ" გამოცემული, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს ა/წ. თებერვლის 1-ის თარიღის და 169 №-ის დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. მიენდოს საქართველოს სსრ სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოს ჩაატაროს შრომის მიმდინარე ანგარიშგების საფუძველზე საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მყოფ ყველა სახელმწიფო, კოოპერატიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციის, წამოწყებისა და დაწესებულების მუშათა და მოსამსახურეთა რაოდენობის და სამუშაო ხელფასის ერთდროული მთლიანი აღრიცხვა 1937 წლის მარტისათვის.

2. დაევალოს ყველა საკავშირო-რესპუბლიკურ და რესპუბლიკურ სახალხო კომისარიატს და უწყებას, აგრეთვე ტრესტის, შენაერთისა და კონტორის გამგეობას, კოოპერატიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციას, მიუხედავად მისი ქვემდებარეობასა:

ა) წარუდგინოს საქართველოს სსრ სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოს არა უგვიანეს 1937 წ. თებერვლის 25-ისა მისი უშუალოდ ქვემდებარე ორგანიზაციების, წამოწყებებისა და დაწესებულებების ამომწურავი სია;

ბ) უზრუნველყოს, რათა ამ ორგანიზაციებმა, წამოწყებებმა და დაწესებულებებმა აუცილებლად წარადგინონ დაწესებულ ვადაზე ცნობები მუშათა და მოსამსახურეთა რიცხვისა და სამუშაო ხელფასის ფონდის შესახებ 1937 წ. მარტისათვის მიმდინარე ანგარიშის ფორმების მიხედვით.

**შენიშვნა.** ის დაწესებულებები და ორგანიზაციები, რომლებისთვისაც დაწესებულია შრომის კვარტალური ანგარიშები, ერთდროული აღრიცხვის ცნობებს წარადგენენ 1937 წ. 1-ლი კვარტალისათვის.

3. წინადადება მიეცეს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და დამოუკიდებელ საადმინისტრაციო ერთეულებად გამოყოფილი ქალაქების საქალაქო საბჭოებს, მათ განყოფილებებს და სხვა სარაიონო საქალაქო საუწყებო ორგანიზაციებს—წარუდგინონ არა უგვიანეს ა/წ. მარტის 1-ისა, სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სარაიონო ინსპექტურას და საქალაქო სამმართველოს, კუთვნილებისამებრ, ყველა მათი ქვემდებარე წამოწყებისა და დაწესებულების სიები.

4. სარაიონო აღმასრულებელმა კომიტეტებმა და დამოუკიდებელ საადმინისტრაციო ერთეულებად გამოყოფილი ქალაქების საქალაქო საბჭოებმა, მათმა განყოფილებებმა, მათმა ქვემდებარე დაწესებულებებმა და წამოწყებებმა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასოფლო საბჭოებმა და სასოფლო საბჭოების წამოწყებებმა უნდა წარუდგინონ შრომის საანგარიშო ცნობები ა/წ. მარტისა (1 კვარტალისა) დაწესებულ ვადაზე სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სარაიონო ინსპექტურას და სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის საქალაქო სამმართველოს—კუთვნილებისამებრ.

5. წინადადება მიეცეს აფხაზეთის ასსრ-ისა, აჭარის ასსრ-ისა და სამხრეთოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს—გამოსცენ ანალოგიური დადგენილებანი აღნიშნული ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე აღრიცხვის ჩატარების წესის შესახებ.

6. წამოწყებათა და დაწესებულებათა ის მომუშავენი, რომელნიც დამნაშავენი იქნებიან 1937 წლის მარტისათვის შრომის საანგარიშო ცნობების ვადაზე წარუდგენლობაში, პასუხს აგებენ „არასწორე საააღრიცხვო და საანგარიშო ცნობების წარდგენისათვის და აგრეთვე საააღრიცხვო-საანგარიშო მასალების წარდგენის ფორმებისა და ვადების დარღვევისათვის პასუხისმგებლობის შესახებ" გამოცემული, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წ. დეკემბრის 7-ის დადგენილების 1-ლი მუხლის „ბ" პუნქტის შესაბამისად (საქ. სსრ კან. კრ. 1934 წ. 1-ლი №-ი, მუხ. 34).

7. დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოს—გამოსცეს ა/წ. თებერვლის 16-მდე ინსტრუქცია ერთდროული აღრიცხვის ჩატარების წესის შესახებ.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი **ვ. კვირიკაძე.**

1937 წ. თებერვლის 13. № 175.

ტფილისი

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" 46 №-ში 1937 წ. თებერვლის 26.

---

# განათლება

## 32. დადგენილება ს. კ. ს.

**საშუალო სკოლებში სსრ კავშირის კონსტიტუციისა და საქართველოს სსრ-ის კონსტიტუციის სწავლების შემოღების შესახებ.**

იმ მიზნით, რომ ახალგაზრდობამ, რომელიც ემზადება საბჭოთა სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის შეგნებულ და აქტიურ რიგებში ჩასადგომად, შეისწავლოს საბჭოთა წყობილების საფუძვლები, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. შემოღებულ იქნას 1937/38 სასწავლო წლიდან საშუალო სკოლის მეშვიდე კლასში სსრ კავშირის კონსტიტუციისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციის სწავლება [illegible] საათის სახით

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატს—მოაწყოს 1936|37 სასწავლო წლის დარჩენილ პერიოდში სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ ახალი კონსტიტუციების დაწვრილებითი გაცნობა საშუალო სკოლის მეშვიდე, მერვე, მეცხრე და მეათე კლასების მოწაფეთათვის.

3. დაევალოს აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ და სამხრეთ-ოსეთის ა. ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს—უზრუნველყონ ზემოაღნიშნული ღონისძიებების ჩატარება თავიანთ რესპუბლიკებსა და ოლქში.

საქ. სსრ ს.კ.ს-ის თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ის საქმეთა მმართველი **ვ. კვირიკაძე.**

1937 წ. თებერვლის 4 № 138.
ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 30 №-ში 1937 წ. თებერვლის 6.

## სასამართლო წყობილება და სამართლის წარმოება

### 33. დადგენილება ს.კ.ს.

**საქართველოს სსრ კვების, ტყისა და მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატთან არბიტრაჟის დაარსების შესახებ.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ნება დაერთოს საქართველოს კვების, ტყისა და მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატებს მოაწყონ არბიტრაჟი მათ სისტემაში შემავალ წარმოება-დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს შორის აღძრული ქონებრივი სადავო საკითხების გადასაწყვეტად.

2. თანახმად სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წლის 3 ივლისის № 1360 დადგენილებისა „საკავშირო რესპუბლიკების სახალხო კომისარიატებთან არსებული საუწყებო არბიტრაჟების გადაწყვეტილებათა იძულებითი შესრულების შესახებ“, უფლება მიეცეს საქართველოს სსრ კვების, ტყისა და მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატების არბიტრაჟებს გასცენ ბრძანებანი გადაწყვეტილებათა იძულებითი შესრულების შესახებ.

3. უფლება მიეცეს საქართველოს სსრ კვების, ტყისა და მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატების არბიტრაჟებს იქონიონ თავიანთი აპარატების შესანახად სპეციალური თანხები, რაც შედგენილ იქნას საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით კვების, ტყისა და მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატების მიერ მხარეებისათვის დაწესებული განსაკუთრებული გამოსაღების გადახდევინების საშუალებით.

საქ. სსრ ს.კ.ს-ის თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ის საქმეთა მმართველი **ვ. კვირიკაძე.**

1937 წ. თებერვლის 4. № 115.
ტფილისი.

ფასი 20 კაპ.

გამომცემელი $\frac{\text{საქ. სსრ ს. კ. ს-ის}}{\text{საქმ. მმართველობა}}$ 1937 წ. № 7. პ/მ. რედაქტორი ე. ბამრეკელი

ქაღალდის ფორმატი 62×94 სმ.; 1 ბეჭდვ. ფურც.; 1 ბეჭდვ. ფურც. 48.500 სტამბ. ნიშანი

გადაეცა სტამბას 2/II; ხელმოწერილია დასაბეჭდად 27/III; ტირაჟი 1.900.

მთავლ. რწმ. № 16967 საქ. სახ. კომ. საბჭოს საქმ. მმართვ. სტამბა, ტფილისი. დაკვ. № 121